...სეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 23 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 63 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 63

## ზავი იმარჯვებს.

...შების და გლეხების მთავრობა მედ... ...თ აწარმოებს ზავის კამპანიას, თავის ...აპირებს ის უკლებლივ ანხორციელებს. ...ნ გამოაქვეყნა საიდუმლო ხელშეკრულებები და მით კავშირი გასწყვიტა ...ორც რუსეთის, ისე უცხოეთის მტაცებლურ ბურჟუაზიასთან. მან მოუწოდა ...ლა მეომარ ქვეყნების ხალხებს და ...ავრობებს დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. მან უარყო დიპლომატიის გზა, ...ულებული გახადა ცენტრალური სახელმწიფოების გულზვიადი იმპერიალისტები აშკარათ და საქვეყნოთ გამოე...ათ თავისი ომის მიზნები. ერთი იერიშით, ზავი მან ხალხის საქმეთ გახადა ...ამან შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ...ი იმპერიალისტებმა დაიწყეს, ზავს ...ხი ანხორციელებს.

მიღებული ცნობებით, გერმანია უკვე ...სთანხმდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს. ეს დიდი გამარჯვება სოციალიზმისა იმპერიალიზმზე. მაგრამ სრულ გამარჯვებამდე, დემოკრატიული ზავის დადების საქმეში კიდევ ბევრი ბრძოლა ...სჭირდება რუსეთის რევოლიუციონურ მთავრობას. ეჭვს გარეშეა, ამ ბრძოლას ... პროლეტარული შეუპოვრობით აწარმოებს და საბოლოვოთ გადალახავს მის ...ნ ამართულ დაბრკოლებებს.

დაბრკოლებები კი მრავალია. ზავს ...ვრი მტერი ყავს მისი მტერია თვით გერმანიის გაბატონებული კლასი, რომელიც დღეს იძულებულია მორიგებას ...სთანხმდეს; მტერია მოკავშირეთა ბურჟუაზია, რომელსაც სწყურია გერმანიის სისხლი ამ სახელმწიფოს სრული განადგურებამდე; ზავის მტერია მთელი კონტრ-რევოლიუციონური რუსეთი, რომელიც სისხლში ჩახრჩობას უპირებს ...ლევა-მოსილ რევოლიუციას; მისი მტერია ბურჟუაზიის დამქაში მენშევიკ ესერების პარტია, რომელიც ყოველი ღონით ცდილობს სახელი გაუტეხოს მუშების და გლეხების მთავრობას და მის საზავო კამპანიას დემოკრატიის ღალატათ ნათლავს.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ კავკასიის მენშევიკ-ესერებმა კავშირი გასწყვიტეს რევოლიუციონურ რუსეთთან და ზავის საკითხშიაც მათ სეპერატიულათ დაიწყეს მოქმედება. მათ თავი სასარგებლოთ გამოიყენეს რუსეთის რევოლიუციონური მთავრობის გაბედული ნაბიჯები და როცა მთელ ფრონტზე საზავო მოლაპარაკება დაიწყო, ხალხს თავი მოაჩვენეს, ვითომ მათ ეკუთვნოდათ ამ მოლაპარაკების თაოსნობა. მათ მოსწყვიტეს კავკასია რუსეთს და იმ მცირე ცნობებსაც უმალავენ ხალხს, რომელიც აქ შემთხვევით მოდის ზავის ნაყოფიერი მსვლელობის შესახებ.

მათ გული ბოლომდი ევსებათ, რომ ბოლშევიკების მთავრობა ზავს ანხორციელებს. მათ იმედი ქონდათ, რომ გერმანიის მთავრობა არც იკადრებდა ამ მთავრობასთან მოლაპარაკებას. მაგრამ მოსტყუვდენ, ბოლშევიკების მთავრობა ძლიერია არა მით. სცნობს თუ არა მას რომელიმე გვირგვინოსანი, არამედ მით, რომ ის ემყარება რევოლიუციის გაუტეხელ ძალას, რომელიც არის ერთათ ერთი იმედი და სასოება მთელი მაშვრალი კაცობრიობისა. რევოლიუცია იღებს იმპერიალიზმის სიმაგრეებს და მას ანგარიშს უწევენ არა მარტო გერმანიის იმპერიალისტები, არამედ საფრანგეთ-ინგლისის ხალხის ტანჯვით გაუმაძღარი სისხლის მსმელებით.

რევოლიუციონური რუსეთის მხარეს არის ყველა ქვეყნებ ს მეომარი ჯარები და მშრომელი ხალხი. მის წინააღმდეგ არის ამავე ქვეყნების მუქთა ხორა ბურჟუაზია და ხალხის მოღალატე სოციალ-პატრიოტები

ჩვენ ზავს ვამყარებთ, კმარა ომი—აცხადებს რუსეთის რევოლიუციონური ხალხი. ჩვენ ომი გვინდა—უპასუხებს მოკავშირე ქვეყნების ბურჟუაზია. როგორი საქციელი მართებს რუსეთის მთავრობას ამ პირობებში? რევოლიუციის და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესი მას უკარნახებს გაწყვიტოს კავშირი იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან და მის წინააღმდეგ, თვით ხალხების მონაწილეობით დაამყაროს დემოკრატიული ზავი. სწორეთ ასე იქცევა მუშების და გლეხების მთავრობა.

როგორ შეიძლება ომის შეწყვეტა, როდესაც საფრანგეთ-ინგლისის პროლეტარიატი კვლავ ომშია ჩაბმული, ეს ხომ იშკარა ღალატი,—გაკივიან მენშევიკ-ესერები და ამით სავსებით იმეორებენ ბურჟუაზიის საბუთებს ომის გაგრძელების სასარგებლოთ.

ჩვენი პასუხი აქ ერთათ-ერთია. დღეს ჩვენს ხელთ არის მთელი ძალა-უფლება და ომის ველზე ველარ გაგვრეკენ ტერეშჩენკოები და კერენსკები; ჩვენ დღეს გერმანიის პროლეტარიატის ერთ წვეთ სისხლსაც აღარ დავღვრით, მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთ-ინგლისის პროლეტარიატი, იმპერიალიზმის ხუნდებით შებოჭილი, კიდევ განაგრძობს თავის მოძმე გერმანიის პროლეტარიატის სისხლის ღვრას. ჩვენ გვაქვს შეძლება ძმათა სისხლის ღვრა აღარ განვაგრძოთ და პირველი ჩვენ ვიღებთ მასზე ხელს. რომ ასე არ მოვიქცეთ, მაშინ ჩავიდენ უდიდეს ღალატს სოციალიზმის და რევოლიუციის წინაშე. კმარა, რაც პროლეტარიატმა შეუგნებლობით და უუფლებობით მოძმის სისხლი ღვარა. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!—მოვუწოდებთ ჩვენ ინტერნაციონალურ პროლეტარიატს და არ ვაგდებთ ხელიდან ამ დროშას იმ მოსაზრებით, რომ ყველა ქვეყნები ერთბაშათ, ერთ დღეს არ უერთდებიან მას. ჩვენ ყოველ ღონეს ვიღებთ, რომ საფრანგეთ-ინგლისის პროლეტარიატმა დანამდვილებით გაიგოს საქმის ვითარება და ზავის საქმეში რუსეთ გერმანიის პროლეტარიატს გვერდში ამოუდგეს. და ღრმათ დარწმუნებული ვართ ეს ჩვენი ცდა ამაოთ არ ჩაივლის. სულ ახლო მომავალში ინტერნაციონალური პროლეტარიატის დარღვეული ფრონტი გაერთიანდება, ის შესწყვეტს ომს და შეუბრალებელ ომს გამოუცხადებს ქვეყნით გამეფებულ მტარვალობას.

ზავი იმარჯვებს. ეს თავდებია ახალი ბრწყინვალე ცხოვრების დაწყებისა.

## ვინ ვის ებრძვის?

რევოლიუციის დროს ორი ბანაკია: რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის. რომ ეს ბანაკები არ იყოს, ბრძოლაც არ იქნებოდა; რომ ეს ბრძოლა არ იყოს, რევოლიუციასაც ადგილი არ ექნებოდა.

მენშევიკები კი სიტყვას ბანზე აგდებენ და ჩვენ შესახებ „ერთობაში" (№ 223) სწერენ:

„ბრძოლას" კვლავ უკვირს, რატომ ამდენს სწერთ ჩვენს შესახებო. ნამდვილათ კი ჩვენს გაზეთში შეიძლება მეოთხედი ადგილი ეჭიროს ბოლშევიკებთან კამათს, „ბრძოლის" ჩია ნომერი კი თავიდან ბოლომდე სავსეა ჩვენი ლანძღვით".

მართალია, ჩვენს „ჩია" გაზეთში დიდ ადგილს ვუთმობთ მენშევიკების ყალბი პოზიციის გამოაშკარავებას, რადგან ეს გავლენიანი პარტია აწარმოებს დამღუპველ პოლიტიკას და სრულიათ მოკლებულია იმ პასუხის გების გრძნობას. რომელიც მას მოეთხოვება. მაგრამ მართალია ისიც, რომ მენშევიკებს გარდა ჩვენ ვებრძვით რევოლიუციის და მშრომელი ხალხის ყველა მტრებს: ჩვენ ვებრძვით კადეტებს, კალედინებს, კორნილოვებს, ვებრძვით კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას, ვებრძვით ყველა ჯურის ნაციონალისტებს.

ვის ებრძვიან მენშევიკები?

ბოლშევიკებს და მხოლოთ ბოლშევიკებს. ესენი არიან მათთვის უმთავრესი და ერთათ ერთი მტერი. შეადარეთ „ერთობა" რომელიმე კადეტურ გაზეთს და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში სრული მსგავსება კადეტებსა და მენშევიკებს შუა. ისინი ერთათ იღვწიან ბოლშევიკების მთავრობის დასამხობათ, ერთნაირათ არიან აღფრთოვანებული უკრაინის რადის კონტრ-რევოლიუციონური გამოლაშქრებით, ერთნაირათ უტეხენ სახელს საზავო კამპანიას. აშკარაა, ასეთ პირობებში მენშევიკებისთვის ფსიხოლოგიურათ შეუძლებელია კადეტების წინააღმდეგ ბრძოლა და სრულიათ ბუნებრივია, რომ ისინი კადეტებს არ ებრძვიან.

რა დამოკიდებულება აქვთ მენშევიკებს ნაციონალისტებთან? მათ ბლოკი შეკრეს ყველა ნაციონალისტურ პარტიებთან და მათთან შეხმატკბილებული აწარმოებენ ბრძოლას ისევ და ისევ ჩვენს წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, კადეტებთან ერთათ ბოლშევიკების წინააღმდეგ, ნაციონალისტებთან ერთათ ბოლშევიკების წინააღმდეგ,—აი როგორ იბრძვიან მენშევიკები.

„ერთობას" კარგათ მოეხსენება, რომ ბოლშევიკები პროლეტარიატის პარტიაა. მათ მხარს უჭერს ისეთი შეკავშირებული და გათვითცნობიერებული რევოლიუციონური ძალა, როგორსაც წარმოადგენს პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატი. უამისოთ ბოლშევიკების მთავრობა ერთ დღესაც ვერ იარსებებდა. სწორეთ ამიტომ ებრძვიან მათ ბურჟუაზიის დამცველი კადეტები. ამ შეუდარებელ კონტრ-რევოლიუციონერებს დღეს მხარს უმშვენებენ მენშევიკები. ეს ფაქტია. ამას ვერ უარყოფს „ერთობაც", თუმცა სხვა საკითხის გამო იმავე ნომერში შემდეგს სწერს:

„კავკასიაში ბალღმაც კი იცის, რომ ჩვენ რუსეთის მუშათა კლასთან ერთათ ვიბრძვით. ეს არა ერთხელ გვითქვამს და საქმითაც დაგვიმტკიცებია".

გითქვამთ და დაგიმტკიცებიათ, მარა დღეს ვისთანა ხართ? რა გაქვთ საერთო რუსეთის მუშათა კლასთან? თქვენ მას ებრძვით და ებრძვით ისეთივე გამწარებით, როგორც კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია. ძირს ლენინ-ტროცკებიო—გაიძახით თქვენ და ერთხელ არ წამოგცდენიათ: ძირს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიაო.

ვინა ხართ თქვენ ამის შემდეგ? რომელ ბანაკში ხართ? ბარიკადების რომელ მხარესა დგეხართ?

## რუსეთის მთავრსარდლის კრილენკოს დეპეშა

19 დეკემბერი, პეტროგრადი.

რევოლიუციონური არმიის ყველა ნაწილებს და მათ რევოლიუციონურ... ორგანიზაციებს!

ამხანაგებო! ცილის წამებითა და ჭორებით აავსეს ქვეყანა ჩვენმა მტრებმა ჩვენს საწინააღმდეგოთ, როცა ჩვენ საზავო მოლაპარაკებას შეუდექით. ჩვენ მათ ხალხის ღალატი დაგვწამეს. ჩვენ გვაშინებდენ მოკავშირეებთან დამოუკიდებლობის შეწყვეტით და იაპონიის მხრივ ომის გამოცხადებით. როცა ჩვენ მოკავშირეებთან შეუთანხმებლათ მოლაპარაკება მაინც გავმართეთ ... განმავლობაში, 27 იებერ... ოქტომბრამდე ბ.ბ. კერენსკ... ჩენკო ნაწილ-ნაწილათ და ... ყიდდენ რუსეთის რევოლიუ... ვით ისინი ზავის მომხრეთ გ... ხოლო საქმით შეტევას და ო... უმზადებდენ: მე ხელთა მაქვს ... რომლებიც საარტილერიო მ...

...ა აქვს ...ქართველ- ...რაზმის ...ს ქართველ- ...ქორდანიას ...ბრძოლდნენ. ...ი გამბოლით, ...ვიკები დღეს ...ში, სავსებით ...ნ. ...ამაში მარ...

**ტეხნიკური მიზეზების გამო დღეს ჩვენი გაზეთი ნახევარ ფურცლათ გამოდის.**

ეხება და რომლებიც „სტავკაში“ ვიპოვეთ, საიდანაც სჩანს რომ კერენსკის მთავრობა ერთი შეტევისთვის კიდევ ემზადებოდა, რომელიც 1918 წლის მაისში უნდა დაწყებულიყო და მხოლოთ 1918 წლის დეკემბრის გასულისათვის ფიქრობდა იგი ზავზე მოლაპარაკების დაწყებას.

ამხანაგებო! 25 ოქტომბერს ძალა-უფლება ხელთ აიღო სახალხო კომისარების საბჭოს მთავრობამ და 22 ნოემბერს მან პირველათ გაუგზავნა დელეგაცია გერმანიის მთავრობას, რომ წინასწარ მორიგებაზე მოლაპარაკება დაეწყო, რომ შემდეგ ზავის პირობების შემუშავებას შედგომოდენ,

მეფის მოკავშირეები, ბანკირები და კაპიტალისტები ინგლისისა და საფრანგეთისა ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ მოლაპარაკება რათიმე შეეწყვიტათ. მათ ჯიუტობას რუსეთის ბურჟუაზიასთან ერთათ „ობორონცების სიყალბეც თან დაერთო. ამათ ასტეხეს ხმაურობა და ქაქანი იმაზე, ვითომ სახალხო კომისარების საბჭოს სეპარატიული ზავის ჩამოგდება სურს. ჩვენ მოკავშირეებს წინადადებით მივმართეთ, რომ მოლაპარაკება დაეწყოთ, მაგრამ ისინი სდუმდენ; და როცა წინასწარი მორიგება ჩამოვარდა, მოკავშირეებმა სხვა გვარ ღონის ძიებასაც მიმართეს საბრძოლველათ. რადგან მათ თავიანთი მუქარის სისრულეში მოყვანა არ შეეძლოთ. ისინი უღონო შეიქნენ ჩვენთვის ომი გამოეცხადებიათ, ვინაიდან მათი ხალხი არასოდეს არ მოითმენდა რუსეთის რევოლუციის წინაალმდეგ გაილაშქროს, იმ რევოლუციის რომელიც ყველა ქვეყნის ხალხთ ზავის ჩამოგდებას უქადის. და მაშინ მოკავშირეებმა გადაწყვიტეს რუსეთის რევოლუციას ვერაგული გზით ბოლო მოუღონ.

ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ ამერიკის კაპიტალისტების იარაღს და ფულს უგზავნიან როსტოვში დონის მხრის მეამბოხეს კალედინს, რომელიც დღეს რუსეთის ბურჟუაზიის ბელადათ ითვლება, ჩვენ ახლა ვიცით, რომ საფრანგეთის მთავრობას უკრაინის რადასთან საიდუმლო მოლაპარაკება აქვს გამართული იმ მიზნით, რომ ზავზე მოლაპარაკება ჩაიშალოს.

ამხანაგებო! 12 დეკემბერს ბრესტლიტოვსკში ნემეცები უკვე დასთანხმდენ ზავზე მოლაპარაკებას ჩვენ მიერ ნაკარნახევ პირობების საფუძველზე. ნემეცები თანახმა არიან შეკრან ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. თავის პასუხში რომელსაც მე ამასთან ერთათ ვაქვეყნებ, ისინი აცხადებენ, რომ თანახმა არიან საყოველთაო ზავის და არა მხოლოდ სეპერატიულის. ისინი თანახმა არიან ზავი შეკრან ყველა მეომარ სახელმწიფოებთან. იმ პირობით, რომ ყველა მოპირდაპირე მხრის ჯარებით ომის დროს დაკავებული ადგილები განთავისუფლებულ იქნას; ნემეცები თანახმა არიან, რომ ყველა პატარა სახელმწიფოები, რომელთა დამოუკიდებლობა ამ დროს შეილახა, აღდგენილ იქნან ძველ საზღვრებში. ნემეცები არავითარ კონტრიბუციას არ მოითხოვენ: აღმოაჩინეს, რომ ომის დროს აოხრებულ კერძო პირების და ქვეყნების ზარალი საგანგებო განსაკუთრებულ საერთაშორისო ფონდიდან, ისინი მხოლოდ ... ამბობენ, უარს, რომ დამოუკიდებელ ... ახლად შეიქმნილ სახელმწიფოებს არ მიეცეთ ნება ... უცხო სახელმწიფოების სა... ნ, რომლებშიაც ისინი ომამდენ, მაგრამ ამასთან ნემცეენ, არა მარტო რუსეთის არამედ სხვა დიდი სახელმწიფოებიც დასთანხმდენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს.

ჩვენ ახალი მოლაპარაკება ათი დღით კიდევ შევწყვიტეთ, რათა ერთხელ კიდევ უკანასკნელათ მივმართოთ მოკავშირე სახელმწიფოებს, რომ მიიღონ მორიგების პირობები.

ამხანაგებო! მოკავშირე ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა წინაშე შიში და კრძალვა როდი გვაიძულებს ჩვენ ასე მოვიქცეთ. რუსეთის რევოლუციამ უნდა იღონოს ყოველივე, რომ ზავი საერთოთ ყველა ხალხებისათვის შეიკრას. თუ მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობები ეხლაც გაჩუმდებიან, მაშინ ხალხთა სისხლის ღვრის გაგრძელებისთვის დღე, წყევა-კრულვა ასი ათასობით ადამიანისა თავს დაატყდეს ამ მთავრობებს. ჩვენ ჩვენი მოკავშირეების ბურჟუაზიულ მთავრობებს მოფიქრებისთვის ათი დღის ვადას კიდევ ვაძლევთ არა სამარცხვინო ზავის შეკვრა გერმანიის ბურჟუაზიასთან, არამედ საპატიო და მასთან დემოკრატიული საყოველთაო ზავის ჩამოგდება შეუძლია დღეს რუსეთს, რომელიც გაწამებულია შიმშილით, დაცლილია სისხლისგან სამოქალაქო, ძმათა ომში და საფინანსო და ეკონომიური სრული გაკოტრების უფსკრულის წინაშე დგას. რუსეთის რევოლუცია ბოლომდე მტკიცე დამცველი დარჩება თავის სიტყვისა.

საყოველთაო, სანატრელი დემოკრატიული ზავის მოახლოვება სრულიათ დამოკიდებულია ჩვენს სიმტკიცეზე და ფრონტების შეურყევლობაზე. სამნახევარი წლის განმავლობაში ვნახეთ ჩვენ, პატარა ხნით კიდევ—და სანატრელი ზავი განხორციელების გზას დაადგება. მილიონობით ხალხი მადლობას გეტყვის თქვენ იმ ზავისათვის, რომელიც რუსეთის რევოლუციას და რუსეთის რევოლიუციონურ არმია სისხლის ღვრით ძალა მიხდილ ხალხებისათვის მოაქვს.

ამხანაგებო!

დიადი გამარჯვება მოპოვებულია.

რუსეთის რევოლიუციის დიადი ნების წინაშე ქედი მოიხარეს გერმანიის ბურჟუაზიის მტაცებლებმა. მათ ამიერიდან აღარ შეუძლიათ დაპყრობითი და მტაცებლური მოთხოვნები წამოგვიყენონ, ვინაიდან მათ თავიანთი ხალხის ეშინიათ. აწი ჩვენი დანიშნულება—ვალი იმაშია, რომ ბოლო მოუღოთ ზავის მტრებს შინ; ჩვენი ვალია ჩავაჩუმოთ ისინი, რომელნიც კიდევ ბედავენ და იარაღით ხელში ებრძვიან რუსეთის სახალხო კომისარების საბჭოს—მთავრობას, რომელსაც მოაქვს სახალხო მშვიდობა და ზავი წინაალმდეგ კადეტურ ბურჟუაზიისა, წინაალმდეგ უკრაინის რადისა, რომელიც მხარს უჭერს კალედინს ხალხის საწინაალმდეგოთ და რომელიც დღეს თავის პოლიტიკით ზავის ჩამოგდებას მეტათ ხელს უშლის.

მიმართეთ თქვენი იარაღი ამხანაგებო უკრაინელებო ხალხის მტრების წინაალმდეგ! თქვენი ვალია მხარი მოგვცეთ ამ დიად სახალხო ბრძოლაში, რომ ზავი განხორციელებულ იქნას და ხალხის მტრები დედამიწის პირიდან აღიგავოს.

მოგიწერთ, ეს ბრძანება გავრცელებულ იქნას ყველგან ჯარებში, განსაკუთრებით სანგრებში ტელეგრაფისა და რადიოგრამმის საშუალებით.

სახალხო კომისარი სამხედრო და საზღვაო საქმეთა და მთავარ სარდალი

**კრილენკო.**

# ორი მოწოდება

8 დეკემბერს სახალხო კომისარების საბჭოს სრულიათ რუსეთის რევოლიუციონურ ორგანიზაციების ცენტრალურ კომიტეტების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა გამოსცეს ორი მოწოდება: პირველი უკრაინის ხალხის მიმართ, მეორე ყველა ქვეყნების მშრომელი მასისადმი. პირველი ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული, ხოლო მეორეს ვათავსებთ ახლა.

**მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელ მასისადმი.**

რუსეთის მშრომელ მასსების ოქტომბრის აჯანყებამ, დაამხო რა ბურჟუაზიისა და მისი მიმყოლთა მთავრობა, შექმნა ახალი ძალა-უფლება სახალხო კომისარების სახით. რუსეთის მუშების, სალდათების და გლეხების მთავრობამ წინადადება მისცა ყველა მეომარ სახელმწიფოებს, რომ ჩამოაგდონ დაუყონებლივ ყველა ფრონტებზე წინასწარი მორიგება, რომ შეუდგენ საყოველთაო დემოკრატიული ზავის პირობებზე მოლაპარაკებას.

2 დეკემბერს კიდეც შეხვდენ ერთი მეორეს მოსალაპარაკებლათ ცენტრალური სახელმწიფოების და რუსეთის ხალხის დელეგაციები. რუსეთის წარმომადგენლებმა უპირველესათ ყოვლისა საჭიროთ სცნეს ხაზ გასმით აღენიშნათ ცენტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის, რომ ისინი უმთავრესათ მიზნათ ისახავენ საყოველთაო ზავს რუსეთის რევოლიუციისგან წამოყენებულ საფუძველზე და არა სეპარატიულ ზავს. ამ მიზნით რუსეთის დელეგაციამ ცენტრალურ სახელმწიფოებს წინადადება მისცა, რომ ყველა იმ სახელმწიფოების სახელით, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ჩვენს თათბირზე, წინადადებით მიმართონ სხვა მეომარ სახელმწიფოებსაც, რომ მათ ზავზე მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ და წინასწარი მორიგება მოახდინონ. ამასთანავე რუსეთის დელეგაციამ ცენტრალურ სახელმწიფოებს პირობა დაადებინა, რომ მათ თავისი სამხედრო ძალები რუსეთის ფრონტიდან დასავლეთისაზე არ გადასხას. 5 დეკემბერს მორიგება ჩამოვარდა: რუსეთის დელეგაციის პირობები მიღებულ იქნა. მუშების, სალდათების და გლეხთა წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა ყოველი ძალღონით მხარს უჭერს მუშების და გლეხების მთავრობის პოლიტიკას, ვინაიდან ის გზას გვიხსნის საყოველთაო ზავისაკენ.

შეერთებული სხდომა მოგმართავთ თქვენ, გერმანიის მუშებო! თქვენ, რომელთათვის ისევე უცხოა გერმანიის იმპერიალიზმის მტაცებლური მიზნები, როგორც ჩვენთვის რუსეთის იმპერიალიზმის მისწრაფებანი სხვისი ქვეყნების დაპყრობისაკენ. თქვენ ყოველივე ძალღონით უნდა მხარი დაუჭიროთ რუსეთის ხალხს საყოველთაო სამართლიან ზავისთვის ბრძოლაში. განა თქვენ იმისთვის იბრძვით, რომ დაიხოცოთ ვისლის ნაპირებზე კი არა, არამედ იზერისაზე?

ქალაქათ და სოფლათ, ფაბრიკებსა და სანგრებში თქვენ უნდა აწარმოვოთ ენერგიული ბრძოლა ზავის ჩამოსაგდებათ და ხელი შეუშალოთ იმპერიალისტებს, ჩვენი წინასწარი მორიგების საქმე ვერ ჩაშალონ. ვეღარ გაბედონ თქვენმა მმართველებმა თქვენი რწმუნება იმაში, ვითომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა ზავზე დათანხმება მხოლოთ ომის გაგრძელებით შეიძლება... იცოდეთ, რომ ამასვე ფუშნებიან საფრანგეთის, ინგლისის და შეერთებულ შტატების მთავრობებიც თავიანთ ხალხებს. სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ხალხთა სისხლი იღვრება ყველა ფრონტებზე, მაგრამ, როგორც ხედავთ ვერც გამარჯვებას და ვერც დამარცხებას ერთიერთი მოპირდაპირისას ვერ ვხედავთ, რომ მან ვერ მოგვიახლოვა მომენტი სასურველი ზავისა.

მხოლოთ ხალხთა ნებისყოფას შეუძლია იძულებული გახადოს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, რომ დაუყონებლივ ჩამოაგდონ ურთიერთ შორის დემოკრატიული ზავი.

საფრანგეთისა ინგლისისა და იტალიის მუშებო! სისხლით დაცლილო სერბიის და განადგურებულ ბელგიის ხალხო, თქვენც აღიმაღლეთ ხმა! დე, უწყოდეს თქვენმა მთავრობებმა, რომ ამიერიდან თქვენ არ გსურთ სისხლი ღვაროთ თქვენთვის უცხო მტაცებლური მიზნებისათვის. მარტო ჩვენ, წარმომადგენელი რუსეთის მშრომელი მასისა, ვერ შევძლებთ მოგცეთ თქვენ საყოველთაო ზავი. თქვენ უნდა მოითხოვოთ.

## ხულიგანთა პოგრომი ჩვენში.

უწესოება და ხულიგანური ძარცვა ჩვენშიაც დაიწყო. თითქმის ერთ და იმავე დროს იწყება ეს: ქუთაისში, სარაყამიშში ალექსანდროპოლში და განჯაში. სამწუხაროთ ყველგან ჯარის ხულიგნური ნაწილი განურჩევლათ ეროვნების მეთაურობს ამ საზიზღარ თავდასხმას ხალხზე. ამბობენ ქუთაისის აწიოკებაში და საქონლის დატაცებაში დიდ მონაწილეობას იღებდენ ქართველი ჯარისკაცებიო. სადგურ განჯაზე თავდასხმის და მდგომარეობის შესახებ, კორესპონდენტი დეპეშით შემდეგ შემზარავ სურათს აგვიწერს: „თავს დაგვესხენ შეიარაღებული რაზმები, რომელთაც ცეცხლი წაუკიდეს ბათალიონის ყაზარმას, მე-7 როტის სალდათები ძალით გარეთ გამოიყარეს, ... რის მახლობლათ დასწვეს 279 ... ნის სადგომი: ბევრი დაიჭრა, ბევრი მოკლეს. სასურსათო პუნქტი გაძარცვეს, გაძარცვეს აგრეთვე ყველა მცხოვრებნი ქვედა და ზედა უბნებისა. ამ წუთში არეულათ სროლა რამდენიმეთ შეწყნარდა, მაგრამ მოელიან, რომ ღამით შემოტევა და თავდასხმას ისევ აანახლებენ. მოსალოდნელია აიკლონ ნავთის და სხვა ნივთიერების საწყობები, აგრეთვე ცეცხლისმქრობელთა ბინა. მაშველი ჯერ არსაიდან სჩანს. სადგურზე თავი მოიყარა თავზარდაცემულმა ტიტველმა ხალხმა. მხოლოთ ამ წუთებში გამოვიდა დახმარებლათ ქართველთა პოლკის ნაწილი, რომლის იმედი დიდია, თუ მას იარაღი საკმაოთ აღმოაჩნდა. გამვლელი ეშელონები თავის ნებით იჭერენ მატარებლებს, სცვლიან კონდუქტორებს და მგზავრებიან ამ საათში სად. შამქორიდან ცნობა მივიღეთ, რომ რკინის გზა აყარესო: მარა რამდენათ სარწმუნოა არ ვიცით. მატარებელს № 22-ს სადგ.-ლაბაშლისთან ლოკომოტივი მოხსნეს და ვაგონები სულ ერთიანათ გასცალეს. საქონელი თავიანთ ფურგუნებზე გადააქვთ სადგურის მოსამსახურეები, გარდა ტელეგრაფისა გაიქცენ. მდგომარეობა კრიტიკულია. ვზივართ, როგორც ალყა შემორტყმულ ციხეში და ყოველ წამს თავდასხმას მოველით. შველა არსაიდან არ სჩანს. გვინდოდა ჩვენც აქედან წასვლა, მაგრამ ახლა აღარ შეიძლება, რადგან ირგვლივ განუწყვეტელი თოფის სროლაა და არც ვინმეა ისეთი, რომ მატარებელი მოგვიცეს დგინოს.